საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030160579352120

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/16018 **07 / დეკემბერი / 2020 წ.**

შპს უნივერს ბიზნეს გრუპის
გენერალურ დირექტორს
ბატონ რომან ბადალიანს
ელ. ფოსტა: info@ubg.ge

ბატონო რომან,

თქვენი 2020 წლის 06 ნოემბრის N114646 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა შპს "უნივერს ბიზნეს გრუპ"-ის (ს/კ 206316468) საწარმოში დამზადებული ხარაჩოების თაობაზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის საკითხს, გაცნობებთ, რომ "სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის № 477 დადგენილებით დამტკიცებული "ტექნიკური რეგლამენტი – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ"-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილია, რომ ,,ხარაჩოები უნდა იყოს სწორად დაპროექტებული, **ქარხნულად დამზადებული** და მოვლილი, რათა გამოირიცხოს მათი ჩამოშლა ან შემთხვევითი გამოძრავება." აღნიშნული ჩანაწერი ასევე გამყარებულია ამავე დადგენილების სხვა პუნქტებით, რომელიც ერთობლიობაში განსაზღვრავს ხარაჩოს უსაფრთხოების სტანდარტებს. დადგენილებით განსაზღვრული ნორმები საშუალებას იძლევა, რომ განხორციელდეს ხარაჩოს სათანადო მოვლა-ექსპლუატაცია და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სამუშაო ადგილებზე ხარაჩოს გაუმართავობის გამო წარმოშობილი უბედური შემთხვევების დადგომის ალბათობა. წარმოდგენილი ჩანაწერებიდან გამომდინარე, ყველა ის მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც ვალდებულია საქართველოს მთავრობის N477 დადგენილების აღსრულებაზე (მათ შორის შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი), ვალდებულია ზუსტი შესაბამისობით მოახდინოს ამ ნორმატიული აქტით განსაზღვრული მოთხოვნების კონტროლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის ინსპექციის მიერ ხდება როგორც ხარაჩოს დოკუმენტაციის შემოწმება, (რაც გულისხმობს ქარხანა-დამამზადებლის მიერ გაცემული დოკუმენტაციის კონტროლს), ასევე მისი აღმართვის შეცვლის ან მოხსნის სტანდარტებისა და მისი ექსპლუატაციის წესების დაცვის მდგომარეობის ზედამხედველობა (აღნიშნულის თაობაზე დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც ხორციელდება შემოწმება).

გარდა ზემოაღნიშნულისა, აქვე დამატებით განგიმარტავთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი არის მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც ამოწმებს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მდგომარეობას, მათ შორის შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების საკითხს, შესაბამისად დღეს მოქმედი კანონმდებლობით რომელიმე ქარხანა-დამამზადებლის სერთიფიცირება ან/და რომელიმე სპეციალისტის კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა შრომის ინსპექციის კომპეტენციაში არ შედის.

პატივისცემით

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შრომის პირობების ინსპექტირების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ბექა ფერაძე